პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 65 (18307) პარასკევი, 19 მარტი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

მინისტრთა საბჭოში, საქართველოს კროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკა ცენტრალურ კომიტეტში

გამოვლინდნენ 1981 წლის გამარჯვებულები

შეჯიბრებისა, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით „სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ყოველი საბჭო წარმოების რეზერვების ძიების შტაბი უნდა იყოს“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 1981 წელს სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებებმა ხელი შეუწყვეს რესპუბლიკის მრეწველობის მოწინავეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, აგრეთვე ნაციონალური სოციალისტური ვალდებულებების ვადაჭედე შესრულებაში.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს კიდევ უფრო მზაწდაბული და შედეგიანი გახდა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მიმდინარეობს „სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ყოველი საბჭო წარმოების რეზერვების ძიების შტაბი უნდა იყოს“. რესპუბლიკის 650 საწარმოს, გაერთიანების, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულების სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციების საბჭოები ეტაპურად მოიწვევდნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, ხელი შეუწყვეს 28 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებას, აკონტროლებდნენ ნედლეულის, მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების რეზერვებს, მონაწილეობდნენ ხელის შრომის მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში.

მაგალითად, „საქნავთობის“ საწარმოო გაერთიანების სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებათა პირველადი ორგანიზაციის საბჭოს მონაწილეობით გამოშვებულია ათიათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, მიღებულია ზეგეგმითი მოგება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა რეალიზაციის ეკონომიკურმა ეფექტმა 600 ათას მანეთს გადააჭარბა.

წარმოების რეზერვების გამოვლენა-გამოყენებისათვის ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ფერადი მეტალურგიის, ხელსაწყოთმშენებლობის, „საქჩაისა“ და „სამტრესტის“ გაერთიანებათა საწარმოების სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების პირველადმა ორგანიზაციებმა. ამასთანავე ისეთმა შრომითმა კოლექტივებმა, როგორიც არის რუსთავის ქიმიური ქარხანა, საწარმოო გაერთიანებანი „ჩარხმშენებელი“ და „ელფავალმშენებელი“, „ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ენგურის ელექტროსაზ-ქალაქლის კომბინატი, პროდუქციის წლიურ გეგმას დაკაცულს 56 მილიონი მანეთი, ვერ შეასრულეს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებრიობის სოციალისტური ვალდებულებები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებანი მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ამოცანის გადაწყვეტისას კვლავაც ყოველნაირად შეეწყობენ ხელს საქართველოს რესპუბლიკას 1982 წლის სოციალისტური ვალდებულების შესრულებას და ღირსეულად შეხვდებიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს. (საქინფორმი).

ყოველი დღე—დამკვრელური!

თბილისი

ტაბა.-საგალანტერეო ფაბრიკაში ამზადებენ 11 სახეობის ფართო მოხმარების ნაწარმს, რომელზეც მომხმარებელთა დიდი მოთხოვნაა.

ამ ფართოდ გაშლილა სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის სახელმწიფო დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. საწარმოს კოლექტივმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა თებერვალი, გეგმის გადამეტებით გამოშვებული 17 ათასი მანეთის პროდუქცია, შესრულდა რეალიზაციის გეგმაც.

განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევს ჩემოდნების სამკერაოს კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას ო. ბაკურაძე. შრომითს მეტოქეობაში დაწინაურდნენ მუშები რ. მაჭავარიანი და შ. გუბელაძე. ისინი ყოველდღიურ დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ. („კომ.“ კორ.).

ტყიბული

საგოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ყოველ საუბლეიო დღეს შესანიშნავი წარმატებებით აღნიშნავს ორჯონიკიძის სახელობის მაზტის (დირექტორი — უ. გურეშიძე) მოწინავე კოლექტივი.

საათბმმშოვებელთა შორის დაწინაურდა მესამე საფესლოტაციო უბნის კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგა ტექნიკოსი უ. კუბლაშვილი.

ორი თვის გეგმების შესრულებაში თავი გამოიჩინეს მაზტის კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა, რომელსაც ნოვატორი მეშახტეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. სვანიძე და ლ. გაბელაშვილი თავკაცობენ.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მ. კლდიაშვილის კომპლექსური ბრიგადაც. მიწინავე კოლექტივმა ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღების სამი თვის ნორმა. (საკ. კორ.).

პარტიის საიმედო თანამშემწენი

ამოცდილებითა და ცოდნით აღჭურვილნი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი შეხვდნენ საბჭოთა პროფკავშირები თავიანთ XVII ყრილობას. პროფკავშირთა უმაღლესი ფორუმის ყურადღების ცენტრშია პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ჩვენი ქვეყნის ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების გზები და ამოცანები.

პროფკავშირთა ყრილობა დიდი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქ წარმოდგენილი არიან შრომელი ადამიანის უფლებანი. გმირმა მუშათა კლასმა, სახელოვანმა კოლმეურნე გლეხობამ, სახალხო ინტელიგენციამ ყრილობაზე გაგზავნეს ხუთი ათასზე მეტი ღირსეული წარმომადგენელი. ისინი გამოირჩევიან პარტიისა და ხალხისადმი ურყევი ერთგულებით, პასუხისმგებლობის გამახვილებული გრძნობით, საერთო საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებით. სხვადასხვა პროფესიის, თაობისა და ეროვნების ადამიანებმა ყრილობაზე ფოიერანეს თავიანთი მდიდარი გამოცდილება, თავიანთი ფიქრები და კონკრეტული წინადადებანი.

ახლანდელი ყრილობა მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს, საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს რომ ეგებებინან, ამარტა, მთელი საბჭოთა ხალხი ცდილობენ ეს სახელოვანი იუბილე აღნიშნონ ახალი მიღწევებით სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ეს პროფესიული კავშირების მორიგი ამოცანების განხილვას კიდევ უფრო აქტუალურ ხასიათს ანიჭებს. ეს ამოცანები ღრმად ორმხრივ არის დახასიათებული პროფკავშირთა ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მკაფიო, შინაარსიან სიტყვაში.

„პროფკავშირებს, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ნაბიჯნელოვანი ადგილი უკავიათ სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. ისინი დემოკრატიის განვითარების, კომუნისტურ მშენებლობაში მშრომელთა ჩაბმის მძლავრი სკოლაა. სწორედ ასე იდგა საკითხი პარტიის XXVI ყრილობაზე. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ იმ მრავალმხრივი ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებსაც აყენებს ჩვენი ეპოქა, დინამიკური დრო, საბჭოთა პროფკავშირები ასრულებენ ფასდ და, შეიძლება პირდაპირ ითქვას, შეუცვლელ როლს. სწორედ ასეც უნდა იყოს“.

რაც უფრო წინ მიიწევთ, რაც უფრო მასშტაბურია ჩვენი ამოცანა, მით უფრო იზრდება პროფკავშირების შემენებლობითი მუშაობა, მით უფრო ეზრდება პროფკავშირების როგორც მართვის სკოლის, მეურნეობრიობის სკოლის, კომუნიზმის სკოლის მნიშვნელობა. მათს პრაქტიკაში საზოგადოებრივი წარმოების ზრდისათვის ზრუნვა სულ უფრო მტკიცედ ერწყმის თითოეული მუშაკისა და ყოფა-ცხოვრების პირობებისათვის, მისი უფლებების დაცვისათვის, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ეს ზრუნვა, პარტია ამას ითვალისწინებს და განუხრელად ახორციელებს მომწიფებული სოციალიზმის პირობებში პროფკავშირთა როლის ამაღლების კურსს, ეფუძნება ისინი მინიჭებული ფართო უფლებების შესაბამისად უფლებამოსილებას, მიზანსწრაფულად, ეფექტიანად მოქმედებდნენ.

ხუთნლედის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზაციაში პროფკავშირები უკეთ უნდა იყენებდნენ მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლების ისეთ ფორმებს, როგორიც არის მუშათა კრებები და მუდმივმოქმედი საწარმოო კონფერენციები, შემხვედრი გეგმები და ნოვატორთა მოძრაობა. ეკონომიკური ზრდის მძლავრი ბერკეტია სოციალისტური შეჯიბრება. პროფკავშირები ამრავლებენ მის სახელოვან ტრადიციებს, რითაც ხელს უწყობენ ყოველ კოლექტივში რეზერვების შემოქმედებითი ძიების, ამხანაგური ურთიერთდახმარების, გეგმებისა და ვალდებულებების ბედისათვის პასუხისმგებლობის ვითარების შექმნას. გამოცდილება ცხადყოფს, რომ ყველაზე მეტ წარმატებებს იქ აღწევენ, სადაც შეჯიბრებში ჩაბმულნი ენერგია ხმარდება მთავარ მიმართულებებს — შრომის ნაყოფიერების, საზოგადოებრივი წარმოებისა და პროდუქციის ხარისხის ეფექტიანობის ამაღლებას, ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენებას. განსაკუთრებით საჭიროა ყველგან დაფერო-ნთ მონინავე კოლექტივების, წარმოების ნოვატორების გამოცდილება, შრომის ბრიგადული ორგანიზაციისა და სტიმულირების ახალი ფორმები.

ეკონომიკის განვითარებისათვის ზრუნვასთან განუხრელად ფრის დაკავშირებული მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. მშრომელი ადამიანისადმი, მისი ყოველდღიური საჭიროებებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, შეურაცხყოფა სამართლებრივი ნორმებისაგან, შრომითი კანონმდებლობისაგან ყოველგვარი გადახვევების, ბიუროკრატიზმის, გულგრილობის გამოვლინებებისადმი ამაღლებს პროფესიული კავშირების ავტორიტეტს, განამტკიცებს მასებთან მათს კავშირს.

მრავალფეროვანია იმ საშუალებათა არსენალი, რომელთა საშუალებით პროფკავშირებს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ სოციალურ და სამეურნეო განვითარებაზე, ადამიანთა ცხოვრებაზე. ამოცანა ის არის, რომ იგი მეტი ეფექტიანობით გადაწყდეს, უფრო სწრაფად, ენერგიულად გავაუმჯობესოთ ფუნქციონირება ორგანიზაციების მუშაობა დღევანდელი დღის ამოცანების შესაბამისად. საბჭოთა პროფკავშირები, რომლებიც ხელენ თავიანთი საქმიანობის სტილსა და მეთოდებს, მოდერნიზებულნი არიან კვლავაც ავითარებდნენ მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტიურობას, დაუცხრომლად უნერგავდნენ ინტერნაციონალიზმის, ეროვნული ამაყობის, ეროვნულ-პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს, სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნას.

ყველი პირველადი ორგანიზაციის, ყოველი პროფჯგუფის ეფექტიანი ნაწილების ქმედითობის სანინდარია პარტიული ხელმძღვანელობა, რომლის მეშვეობით იქმნება მათი წარმატებული მუშაობის საჭირო პირობები. აქ დღეს მთავარი საკითხებია ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი დოვლათისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცება, ორგანიზებულობისა და გვერგილიანობის ამაღლება, მუშური კონტროლის სრულყოფა.

საბჭოთა პროფკავშირებს დიდი ნელილი შეაქვთ მშვიდობის, ადამიანთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში. ისინი მაგალითებენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დრამატიზებენ ბრძოლებს, ავითარებენ და აღრმავებენ ძმურ ურთიერთობას ყველა ეროვნებისა და ენის მშრომელებთან, დიდად ილვნიან საერთაშორისო ფედერაციებსა და ორგანიზაციებში ერთიანობისა და შეკავშირების ტენდენციებისათვის.

ამ ფართო გამოხმაურება პოვა პროფკავშირთა ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებულმა ახალმა ინიციატივებმა გამალებული შეიარაღების ალაგმვისა და ახალი საომარი ოფის თავიდან აცილების საკითხებზე. ისინი მოწმობენ, რომ ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო კეთილსინდისიერად ასრულებენ ხალხისგან მიღებულ განაწესს, ყოველ ეტაპზე ხმარობენ, რათა გაამართლონ ჩვენი ქვეყნის მშრომელების, მეელი კაცობრიობის იმედები, რომ იქნება მტკიცე მშვიდობა, ეაცოცხლონ ეა ეპლანეტის თავზე.

ეპარტია მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა პროფკავშირების ეაქმედებრივ და ნაყოფიერ საქმიანობას, საბჭოთა საზოგადოებრივ ეაკვლენად ძალად, მასებში თავის საიმედო ბურჯად მიიჩნევს.

ლ. ი. ბრეჟნევს ლაოსის უმაღლესი ჯილდო გადაეცა

ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა კეისონ ფომვიხანმა 18 მარტს კრემლში ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — „ერის ოქროს მედალი“ გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს.

ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი.

დარბაზში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, გ. ე. ცუკანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გაყოფილების გამგის პირველი მოადგილე კ. მ. ბოგოლიუბოვი.

ლაოსის მხრივ ჯილდოს გადაცემას დაესწრნენ ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი, ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ლოვანსაი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კეისონ ფომვიხანი, ეროვნული მოძრაობისა და სოციალისტური ალიანსის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ფუმი ვონვილაი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე ფეთ სანანიკონი, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ალიანსის ეროვნული კომიტეტის მდივანი ფეთ ლეუანგ

სამეურნეოს პატრონებისათვის, ადამიანთა ბედნიერებისათვის

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობა

17 მარტის სხდომაზე სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა **ხ. ვ. კოზლოვმა.** უდიდესი სიამაყის გრძნობით, თქვა ბ-ნ, კომისიის მოგახსენებთ, რომ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც გაბედო გზა მუშა-მეტალურგიდან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელამდე, არსებულია ჩვენი ყრილობის დელეგატად მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირისაგან. ლენინდ ილიას ძე, არსებითად, დელეგატია ყველა საბჭოთა პროფკავშირისაგან, და სამანდატო კომისიამ თავის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება მისცეს № 1 მანდატი.

ყრილობაზე არეულია 5052 დელეგატი, რომლებიც პროფკავშირთა 130 მილიონზე მეტი წევრის წარმომადგენლები არიან. სანგარაშო პერიოდ ზე პროფკავშირებში მიღებულია 17,7 მილიონი მშრომელი.

დელეგატთა შემადგენლობა გამოხატავს დიდ ძვრებს, რომლებიც საბჭოთა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მოხდა განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე. ყველა დელეგატის ნახევარზე მეტს — 52,4 პროცენტს — მუშები და კოლმეურნეები შედგენენ.

ყრილობის დელეგატები პრაქტიკულად წარმოადგენენ საბჭოთა საზოგადოების ყველა სოციალურ ფენას. ეს პროფკავშირული დემოკრატიის მკაფიო გამოვლინებაა.

ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

ყრილობას მიესალმნენ ვიეტნამის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარე **ნგუენ დო ბოხუანი** და კუბის მშრომელთა პროფცენტრის გენერალური მდივანი **რობერტო ვეიგა მენენდეზი.** მათ აღტაცება გამოთქვეს საბჭოთა პროფკავშირების მრავალფეროვანი და ეფექტიანი საქმიანობის გამო, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტენ საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების შშენებლობის ისტორიულ ამოცანებს. მათ ხაზი გაუსვეს, რომ ეს საქმიანობა მნიშვნელოვანი წვლილია სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირული მოძრაობის გამოცდილებაში.

ორატორებმა განაცხადეს, რომ ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებული ახალი საშრომიდობო ინიციატივები შთააგონებს მსოფლიოს მუშათა კლასსა და მთელ პროგრესულ ძალებს ებრძოლონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ შვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ყრილობაზე საზეიმო ვითარებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის უმაღლესი ჯილდო. ეს ჯილდო, ხაზი გაუსვა მან, იმ ადამიანის დამსახურებათა აღიარებაა, რომელსაც მრავალი წლითა უდიდესი ენერგია შეეძლო შვიდობის შენარჩუნების საქმეში. ამჟერადაც ჩვენი ყრილობის ტრიბუნიდან ლენინდ ილიას ძემ შესთავაზა მსოფლიოს ნაბიჯით უკან დაიბიოს ომის, საშინელი. უფსკრულისაგან, საათიც ზოგიერთი უგუნური ჯიუტად და მანიაკურად უბიძგებს კაცობრიობას. აქედან, ამ ტრიბუნიდან, მსოფლიოს ყველა ადამიანს დიდსულოვნად და გულწრფელად შესთავაზეს: მოდით გ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

სასჯ. ¾XVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე საქართველოს სსრ მრეწველობის სამინისტროს სისტემისა და ცეკავშირის საწარმოებში პურის რესურსების გამოყენებისა და პურფუნთუშეული ნაწარმის ხარისხის შემოწმების შედეგებზე იმსჯელა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

გავუფრთხილდეთ პურის რესურსებს

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქპურმრეწვმა" (უფროსი — კ. ბუჯიაშვილი), ცეკავშირის პურსაცხობი მრეწველობის სამმართველომ (უფროსი — კ. რეხვიაშვილი) და ცალკეულმა საწარმოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს პურის რესურსების მომჭირნეობით გამოყენებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ შემოწმებამ გვიჩვენა, რომ განეული მუშაობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება ზემდგომი ორგანოების დადგენილების მოთხოვნებს. კვლავ ვხედავთ არსებით ნაკლოვანებებსა და დარღვევებს, არ არის აღკვეთილი პურის რესურსების გამოყენებისადმი უყაირათო და ბრალეგულური დამოკიდებულების ფაქტები. ნედლეულის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა არ ჰქონდათ შემუშავებული ცეკავშირის თეთრი წყაროს (დირექტორი — ნ. ბაირამოვი), კასპის (დირექტორი — გ. ხუციშვილი), მცხეთისა (დირექტორი — ნ. ცაგურია) და სხვა პურკომბინატებს.

პურის რესურსების არაეკონომიურად ხარჯვას ხელს უწყობს ის, რომ ზემოაღნიშნული, აგრეთვე ზოგიერთი სხვა პურკომბინატის საწარმოები, გაგაცდენული არიან ან ხშირად მალალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისთვის ზრუნვით, უყურადღებობას იჩენენ სპეციალურ და მცირე წონის პურის გამოცხობისათვის.

არასაკმაოდ იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებს, ცდება ძვირადღირებული მონყობილობა საქართველოს საწარმოო გაერთიანება „საქპურმრეწვის" ჟინათურსა და თელავის პურკომბინატებში, ცეკავშირის თეთრი წყაროს, მცხეთის, ჟინათურის პურკომბინატებში.

ამის გამო ხშირად სავაჭრო ორგანიზაციებს პურის ცხობის ფონდიდან აძლევენ ფქვილის მოსახლეობისათვის. მაგრამ ცეკავშირის კასპის პურკომბინატმა სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებზე თვითნებურად გასცა 134,2 ტონა ფქვილი, მცხეთის პურკომბინატმა — 60,7 ტონა, თეთრი წყაროს პურკომბინატმა 1,3 ტონა ფქვილი. გარდა ამისა შესაბამისი რაისაბომმხმარებლო კავშირების ნებართვით პურის ცხობის ფონდიდან „ჟინათურის, სიღნაღისა და ქარელის პურკომბინატებმა შესაბამისად გასცეს 200, 100 და 25,5 ტონა ფქვილი.

ტექნოლოგიური პროცესებისადმი სუსტი კონტროლის გამო მცირეა პურის რესურსების გამოყენების ეფექტიანობა, უმეტეს უხარისხო პურფუნთუშეულს. ცეკავშირის კასპის პურკომბინატში შემომტვრეული 2790 კილოგრამი პროდუქციიდან დაწუნებულ იქნა 2200 კილოგრამი, მცხეთის პურკომბინატში — 3760-დან 1820 კილოგრამი, ქარელის პურკომბინატში — 1615-დან 571 კილოგრამი, თეთრი წყაროს პურკომბინატში — 6800-დან 2300 კილოგრამი. პურპუნთუშეული დაწუნებულ იქნა აგრეთვე სიღნაღის პურკომბინატში, საწარმოო გაერთიანება „ჟინათურმრეწვის" მუშათა მომარაგების განყოფილების, რკინიგზის სადგურის თბილისის რესტორნის მცხეთის ფილიალისა და „საქგეოლოგიის" სამმართველოს ქართული პურის საცხობეში.

ბევრან პურის ცხობაში არასაკმაოდ იყენებენ ცილოვან გამამდიდრებლებს, რომელიც აუმჯობესებს პურის ხარისხს. გარდა ამისა, ფქვილის გარკვეული ნაწილი იკარგება ტომრების ხაბეჭდვი მანქანების უკონლობისა ან გუმმართობის გამო. ჯერ კიდევ ნელი ტემპით ინერგება სპეციალური კონტეინერებით პურის გადატანის პროგრესული მეთოდი, ირღვევა პურფუნთუშეულის შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები.

სათანადო ყურადღება არ ექცევა პურის რესურსების დაცვის საკითხებს, მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობაზე პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების დროულ გაფორმებას, საგეგმო და მოულოდნელი ინვენტარიზაციების მოწყობას, კონტროლს მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა მუშაობისადმი, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის სოციალისტური საკუთრების დაბაკაცებას. ასეთი ფაქტები იყო ცეკავშირის კასპის, თეთრი წყაროს, ჟინათურის, ქარელის და მცხეთის პურკომბინატების, საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქპურმრეწვის" რუსთავის პურკომბინატის ობიექტებზე და სხვაგან.

მოულოდნელი ინვენტარიზაციის შედეგად ცეკავშირის თეთრი წყაროს პურკომბინატის მანგლისის პურის ქარხანაში გამოვლინდა 599 კილოგრამი ცეხეული ფქვილის დანაკლისი და 280 კილოგრამი უმალლესი ხარისხის ფქვილის ნამეტი, „ჟინათურმანგანუმის" მუშათა მომარაგების განყოფილების ქარეული პურის თონეში პირველი ხარისხის ფქვილის დანაკლისმა 155 კილოგრამი შეადგინა.

პურსაცხობ ზოგიერთ საწარმოში დამაკმაყოფილებელი არ არის მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს კვების პროდუქციის სანარმოებისადმი წარდგენილ მოთხოვნებს. არსებითი ნაკლოვანებებია სუსხისმგებელ პირთა მუშაობისადმი, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის სოციალისტური საკუთრების დაბაკაცებას. ასეთი ფაქტები იყო ცეკავშირის კასპის, თეთრი წყაროს, ჟინათურის, ქარელის და მცხეთის პურკომბინატების, საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქპურმრეწვის" რუსთავის პურკომბინატის ობიექტებზე და სხვაგან.

ბევრგან ინვენტარიზაციის შედეგად ცეკავშირის თეთრი წყაროს პურკომბინატის მანგლისის პურის ქარხანაში გამოვლენილი 599 კილოგრამი ცეხეული ფქვილის დანაკლისი და 280 კილოგრამი უმალლესი ხარისხის ფქვილის ნამეტი, „ჟინათურმანგანუმის" მუშათა მომარაგების განყოფილების ქარეული პურის თონეში პირველი ხარისხის ფქვილის დანაკლისმა 155 კილოგრამი შეადგინა.

პურსაცხობ ზოგიერთ საწარმოში დამაკმაყოფილებელი არ არის მუშათა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა ვერ აკმაყოფილებს კვების პროდუქციის სანარმოებისადმი წარდგენილ მოთხოვნებს. არსებითი ნაკლოვანებებია სუსხისმგებელ პირთა მუშაობისადმი, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის სოციალისტური საკუთრების დაბაკაცებას. ასეთი ფაქტები იყო ცეკავშირის კასპის, თეთრი წყაროს, ჟინათურის, ქარელის და მცხეთის პურკომბინატების, საქართველოს სამრეწველო გაერთიანება „საქპურმრეწვის" რუსთავის პურკომბინატის ობიექტებზე და სხვაგან.

მოულოდნელი ინვენტარიზაციის შედეგად ცეკავშირის თეთრი წყაროს პურკომბინატის მანგლისის პურის ქარხანაში გამოვლენილი 599 კილოგრამი ცეხეული ფქვილის დანაკლისი და 280 კილოგრამი უმალლესი ხარისხის ფქვილის ნამეტი, „ჟინათურმანგანუმის" მუშათა მომარაგების განყოფილების ქარეული პურის თონეში პირველი ხარისხის ფქვილის დანაკლისმა 155 კილოგრამი შეადგინა.

ცნობად იქნა მიღებული, რომ პურკომბინატების ხელმძღვანელობის მიერ მკაცრად არის დასჯილი რამდენიმე პირი, ხოლო საქმე საწარმოო გაერთიანება „ჟინათურმანგანუმის" მუშათა მომარაგების განყოფილებაში ფქვილის დანაკლისის შესახებ, გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს.

ცდება ჯარიმები იზრდება

რკინიგზის ტრანსპორტი — ყურადღების ცენტრში!

ბოლო ხანებში სამტრედიის რაიონში საწარმო-დაწესებულებანი და რკინიგზის სატვირთო სადგური მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ეფექტიანად გამოყენებისათვის და სასურველ შედეგსაც აღწევენ. თუ 1980 წელს ვაგონების მოცდენებისათვის რაიონის საწარმო-დაწესებულებებმა ჯარიმის სახით გადაიხადეს 70.000 მანეთზე მეტი, შარშან კი თანხა 43.000 მანეთამდე შემცირდა. ეს იმან განაპირობა, რომ წინა წლებთან შედარებით ბევრად უკეთესად იმუშავეს საშენ მასალათა და ჩაის კომბინატების, ახრეშუმის ძაფსაბუვე-საგარეი, ბამბის სართავი ფაბრიკების და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს ვაგონების მოცდენების შემცირება.

და მაინც ვაგონების მოცდენის შემცირების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით. შარშან აქ 17.667-დან 8.117 ვაგონი მოაცდინეს. მარტო დეკემბერში წარმის გადამტვირთებთ მოცდა 281 ვაგონი, რისთვისაც 3.723 მანეთი ჯარიმა გადაიხადეს. ხილ-კენკრის ლენინის ქარხანამ (დირექტორი — ზ. ძნელაძე) მიწოდებული 363 ვაგონიდან 115 მოაცდინა და ჯარიმის სახით 2.490 მანეთი გადაიხადა. დამზადების ასტორამ (დირექტორი — ზ. გოგუაძე) 4.000 მანეთი ჯარიმა გადაიხადა. ქალაქვაჭრობამ (მმართველი — ლ. ახობაძე) — 1.805 მანეთი.

უპასუხისმგებლობის შედეგად „საქკვებრეგმშენის" № 2 საწარმოო კომბინატში, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა დამზადებისა-გასაღების, ლუდ-ლიმონათის ბაზებში, ზოოვეტმომარაგებაში, რაისამრეწველო კომბინატში ჯარიმების თანხამ 3.438 მანეთს გადააჭარბა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს ცუდად აქვთ ორგანიზებული დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში მორიგეობა, ბრიგადიანი გამოუყოფილი არ არიან კონკრეტული პირები, რომლებსაც ვაგონების მოცდენებისათვის დაეკისრებოდათ პასუხისმგებლობა. ამ ნაკლოვანებებს ისიც უწყობს ხელს, რომ აეროსატრანსპორტო საწარმო ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციებისათვის საჭირო რაოდენობის ტრანსპორტის დროულ მიწოდებას.

რკინიგზის ვაგონების ნორმის გადამეტებით მოცდენის მიზეზი ზმირად თვით სატვირთო სადგურის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებია (უფროსი — ო. კიზირია). აქ დროულად არ ხდება ვაგონების ლოგირა, ამოცლა და კლიენტებისათვის მიწოდება. სადგურის მუშაობა ზოგჯერ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს აფრთხილებენ — განახორციელონ სასწრაფო ღონისძიებანი ვაგონების დასაცლელად, ვაგონი კი საერთოდ არ არის შემოსული სადგურში. ამის შედეგად მუშახელიც ცდება და ტრანსპორტიც.

არ არის გამართული დატვირთვა-გადმოტვირთვის დისტანციის მუშაობა (უფროსი — კ. კოპალეიშვილი), ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა დისტანციის აღჭურვას საჭირო მექანიზმებითა და მოწყობილობით, არ ხდება ტვირთის ცენტრალიზებული შეზიდვა.

რკინიგზის ვაგონების დაცლა-დატვირთვის ოპერაციებში დაშვებული მოცდენების გამო ორგანიზაციებისათვის ჯარიმის სახით მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით თითო თვის ხელფასის გადადგა დაეკისრათ რაისამრეწველო კომბინატის დირექტორს ფ. ფაზარიძეს, „საქკვებრეგმშენის" № 2 საწარმოო კომბინატის დირექტორს ე. ცირთაძეს, დამზადების კანტორის დირექტორს ზ. გოგუაძეს, ქალაქვაჭრობის მმართველს ლ. ახობაძეს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა-გასაღების ბაზის დირექტორს უ. ჟორჟოლიანს, ღვინის ქარხნის დირექტორს ზ. ძნელაძეს, ზოოვეტმომარაგების უფროსს კ. კვირხაძეს.

ვ. შილაკაძე,
სამტრედიის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ინსპექტორი.



მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც შოთა ცერცვაძე რუსთავის ცემენტის ქარხანაში მუშაობს. როგორც თვითონ იტყვიან ხოლმე, მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ერთი და იმავე გზით დადის, სულ ერთ ხალხში, ერთ საწარმოში ტრიალებს. მან მიიყვანა ცემენტის ქარხანაში ძმა და რძალი, უფროსი ქალიშვილი და სიძე, ვაჟი ტარიელიც ცემენტის ქარხანაში მუშაობს ხარატად, უმცროსი ქალიშვილიც ამავე საწარმოში მივიდა. მოკლედ რომ ვთქვათ, 7 ცერცვაძე შრომობს ცემენტის ქარხანაში. ეს მთელი მუშური დინასტია, მათ შორის უფროსი ცერცვაძე ისე დგას, როგორც ნორჩ ტყეში მუხა.

მას ქარხანა ისევე უყვარს, როგორც საკუთარი ოჯახი. მისი მიღწევები ახარეს, წარუმატებლობა გულსა ტკენს.

არა, ჭვილებს არ ვემდური, — ამბობს შოთა, — ახალგაზრდობის კვალობაზე, ბევრს აკეთებენ, ზოგჯერ წამოსცდებოდათ ხოლმე, სხვაგან უფრო მეტ გასამრჯელოს მივიღებდით, მაგრამ ისიც იცით, ცერცვაძეებს კაცობა მანეთებით არასოდეს უზომიათ. ასე მსჯელობს უფროსი ცერცვაძე და უმცროსებიც აბა ბიჭები არიან და არ გაპყვნენ. ერთი კია, სამსახურში უმცროსები ერთად მიდიან ხოლმე, მამა კი უკვე ქარხანაში ეგულებათ. შოთა ცერცვაძე ყველაზე ადრე მიდის სანარმოში, უბნის უფროსზე, ოსტატზე უფრო ადრე. დაიცლის მანქანა-დანადგარებს, დაკვირვებული თვალით გასინჯავს ყველას და მერე დილის თათბირზე თითოეულს თავის სიტყვას შეაშველებს, თუ სად რისი გათვალისწინებაა საჭირო. სამსახურით უფროსებმა და უმცროსებმაც იციან, რომ შოთა ცერცვაძის სიტყვას წყალი არ გაუვა, მისი დროულად მიწვდილი წინადადება აზრიანიც არის და საქმიანიც. იგი სულ ცემენტის ქარხნის მბრუნავი ღუმელების მეშვაქანედ მუშაობდა, პენსიაზეც გავიდა, მაგრამ მაინც ამ საამქროში ღვრის ოფლს, მუყაითი შრომით მოიპოვა და სამუდამოდ დაიმკვიდრა წარმოების მოწინავის სახელი, მრავალჯერ იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული, იგი კომუნისტია და დიდი ჯილდოს — ლენინის ორდენის კავალერი.

შოთას მდიდარ მუშურ ბიოგრაფიას ალბათ ბევრი რამ მოაკლდებოდა, მთელი ამ წლების განმავლობაში სახალხო კონტროლიორად რომ არ ეფშავა. ამ სფეროში იმგვარი ადამიანი ჩამოაყალიბა, პირადულზე წინ ყოველთვის საქვეყნო საქმეს რომ აყენებს. ასე ირჯება თავად და ამისათვის მოუწოდებს შვილებს, მეგობრებს, თანამოსაქმეებს.

პრინციპული, უშეღავათო და საქმის ერთგული შოთა ცერცვაძე, როგორც სახალხო კონტროლიორი. მარტო ის რად ღირს, რომ ამ, როგორც სახალხო კონტროლიორს მუშაკმა, გამონახა საშუალებები, რათა ორი დღე-ღამით ადრე დაეთმავრებინათ მბრუნავი ღუმელების რეკონსტრუქცია, რამაც სანარმოს ასობით ტონა ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

შოთა ყოველწლიურად მრავალ შემოწმება-დათვალიერებაში მონაწილეობს, მერე კი საქმიან რჩევებსა და წინადადებებს იძლევა წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, მშრომელთა სამოწო პირობების გასაუმჯობესებლად..

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის სახალხო კონტროლიორები ისწრაფვიან, რომ მომჭირნედ ხარჯონ ნედლეული და მასალები ყოველ სამუშაო უბანზე, დაზოგონ ელექტროენერგია, გამოავლინონ წარმოების შიდა რეზერვები.

წელს საწარმო გამოუშვებს დიდი ხვედრითი წონის 4,5 მილიონ მანეთისაზე მეტ პროდუქციას, რომელიც აღნიშნული იქნება საპატიო ხუთკუთხედით. სახალხო კონტროლიორების ინიციატივით გაიშალა შეჯიბრება გადიდებული მოთხოვნის ფაიფურის პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სურათზე: ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის ფერწერის საამქროს სახალხო კონტროლიორები ბაროდ ბიკია, ლამარა დარასელია და ციცო ბერამია, ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს.

ა. მაპაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოკორონიკა).

მასების კონტროლით

ხალხის ფაფიზელი თვალი

გვერდი № 176

...ადამალეს, ...ბაძვირეს და...

